



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Kingdom of the Netherlands

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე საყოველთაო-საჯარო კონსულტაციები დაიწყო

ქუთაისი– 29 ნოემბერი, 15:00 საათი, სასტუმრო „ბაგრატი“ დარბაზი (წერეთლის ქუჩა II ჩიხი, N2) – საქართველოს პარლამენტის დეპუტატები და საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრები საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით საჯარო შეხვედრას ქუთაისის მოსახლეობასთან გამართავენ.

შეხვედრაზე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები საკონსტიტუციო ცვლილების პროექტს წარადგენენ და ცვლილების შემუშავების პოლიტიკურ პროცესზე ისაუბრებენ. საკუთარ მოსაზრებებს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებას პარლამენტის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და ექსპერტები გააცნობენ. შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და მოქალაქეები დაესწრებიან. მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით კითხვები დასვას და საკუთარი მოსაზრებები დააფიქსიროს.

საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის თანახმად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150–დან 190–მდე იზრდება.

ISFED საჯარო შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში გამართავს. შეხვედრები ჩატარდება გურჯაანში, თელავში, დუშეთში, ახალციხეში, რუსთავსა და გორში. ოთხი შეხვედრა – ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდსა და ქუთაისში– NDI-ის ხელშეწყობით გაიმართება.

საჯარო კონსულტაციების პროექტი ხორციელდება სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ, ეროვნულ-დემოკრატიული ინტიტუტის (NDI) მხარდაჭერით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური დახმარებით.

შეხვედრაზე დასწრება თავისუფალია.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org

ISFED არამომგებიანი, არასამთავრობო და მიუკერძოებელი ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში დემოკრატიული პროცესებისა და სამართლიანობის დამკვიდრებას უწყობს ხელს. სამოქალაქო აქტივიზმის წახალისების და გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის გზით, ISFED საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას უჭერს მხარს.